პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 110 (6421)

13 ივნისი ოთხშაბათი 1979 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპარტაკიადის ფინალი

● ცურვა

თბილისის დინამოელმა, სპორტის ოსტატმა ა. **შირინკინმა** საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოცურავეთა შეჯიბრებაში, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა, სხვადასხვა ხარისხის ხუთი მედალი მოიპოვა. იგი საუკეთესო იყო 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მანვე ოქროს მედალი მოიპოვა თავის თანაგუნდელებთან ა. ტიხომიროვთან, ს. სტრუჩალინთან და ნ. მოროზოვთან ერთად თავისუფალი სტილით 4X200 მეტრზე მოცურავეთა ესტაფეტაში. შირინკინი მეორე იყო 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ხოლო ამავე სახეობაში 100-მეტრიან დისტანციაზე „ბრინჯაო" მოიპოვა. ამას გარდა, შირინკინმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა ვ. სტრუჩალინთან, ა. გიორგაძესთან და ნ. მოროზოვთან ერთად 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ესტაფეტაში. ოღონდაც, ეს სახეობა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატის პროგრამაში შედიოდა.

ასე რომ, ფაქტიურად ყოველი ფინალური გაცურვის შემდეგ შირინკინი მკერდს მედლებით იმშვენებდა.

* * *

სურათზე: ა. შირინკინი.

ე. ხუცურაულის ფოტო.



● ფარიკაობა

დიდი სტარტის ზღურბლზე

საქართველოს VII სპარტაკიადის ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში 9 გუნდის 125 მოფარიკავე ჩაება.

საინტერესოდ წარიმართა რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობა. აქ ფინალში უძლიერესნი გავიდნენ, ისინი, ვინც ბოლო წლებში მონდომებით ვარჯიშობენ და საკავშირო შეჯიბრებებშიც გარკვეულ წარმატებას აღწევენ. გადამწყვეტ ორთაბრძოლებში საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონმა ჭაბუკებს შორის **ვ. აფციაურმა** (თბილისი). მართალია, იგი აგებდა შეხვედრებს გამოცდილ ოსტატ გ. აბაშიძესთან (1:3) და ვ. გოქაძესთან (1:4), მაგრამ შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და ორივე მეტოქე დაამარცხა, შემდეგ გ. მეშველიანსაც სძლია (5:0) და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

რაპირისტ ქალთა შეჯიბრება კი მოულოდნელი შედეგით აღინიშნა — ფინალურ ექვსეულში ვერ მოხვდნენ გამოცდილი სპორტსმენები, რესპუბლიკის ნაკრების წევრები დ. ბუხრაშვილი და ლ. ბერაძე. აქ საუკეთესო იყო თბილისელი **დ. სიხარულიძე**, რომელმაც დამატებით შეხვედრაში დაამარცხა თანაქალაქელი ტ. გერასიმოვიჩი.

ბოლო ორი წელიწადია თბილისელი **გ. ჩიხლაძე** სტაბილურად გამოდის დაშნით მოფარიკავეთა საკავშირო ტურნირებში და ქართველ მუშკეტერთა შორის საუკეთესო შედეგები აქვს. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ეს სპორტსმენი მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ აღწევდა და აი, საქართველოს სპარტაკიადაზე „ნავსი" გატყდა — ჩიხლაძემ ჩინებულად ჩაატარა ყველა ორთაბრძოლა და ჩემპიონიც გახდა, II-III ადგილებზე შესაბამისად თ. მანაგაძე (ქუთაისი) და ი. სიხარულიძე (თბილისი) გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა წინა, VI სპარტაკიადაზე იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას.

საქართველოს ხმლით მოფარიკავეებს საკავშირო სარბიელზე ტრადიციულად საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში პროგრესი არ იგრძნობა — არ ჩანან ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები და ეს რესპუბლიკის სპარტაკიადაზეც დადასტურდა. აქ სამივე საპრიზო ადგილზე თბილისელი მუშკეტერები **თ. ესართია, გ. პაიჭაძე** და **დ. ბუხაიძე** გავიდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უსიამოვნო ფაქტის შესახებ: საქართველოს ნაკრების წევრი თ. ბობოხიძე, რომელიც პირველ ფინალურ ბრძოლაში მოულოდნელად დამარცხდა წყალტუბოელ მოსწავლე მ. ბაზაიესთან, რატომღაც „განაწყენდა", დანარჩენი შეხვედრები თავის შესაძლებლობებზე აშკარად დაბალ დონეზე ჩაატარა და საბოლოოდ VI ადგილზე გავიდა.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 323 ქულა, ქუთაისი — 205,5, აჭარა — 137,5.

— ეს შეჯიბრება საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებისთვის ბოლო რეპეტიცია იყო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების წინ, — გვითხრა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ფარიკაობაში **მ. სახვაძემ**, — ამ დღეებში ნაკრები გუნდი მოსკოვში გაემგზავრება და რსფსრ-ს ნაკრებთან ერთად გააგრძელებს მზადებას მთავარი სტარტისთვის. წინა სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდი VI ადგილზე გავიდა და ახლა ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მოპოვებული პოზიციები შევინარჩუნოთ.

ტექნიკური შედეგები

რაპირა (ქალები): დ. სიხარულიძე, ტ. გერასიმოვიჩი (ორივე — თბილისი), ლ. როდიონოვა (აჭარა).

რაპირა (ვაჟები): ვ. აფციაური, გ. აბაშიძე (ორივე — თბილისი), გ. მეშველიანი (ქუთაისი).

ხმალი: თ. ესართია, გ. პაიჭაძე, დ. ბუხაიძე (სამივე — თბილისი).

დაშნა: გ. ჩიხლაძე (თბილისი), თ. მანაგაძე (ქუთაისი), ი. სიხარულიძე (თბილისი).

მ. ასიტაშვილი.

* * *

სურათზე: ასპარეზობის ერთ-ერთი ფრაგმენტი.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

● სროლა

ოლიმპიური რეკორდის ტოლი

სოხუმელმა სტუდენტმა, რესპუბლიკის რეკორდსმენმა „გაქცეულ ტახზე" სროლაში ა. გოროდიანკინმა („ბურევესტნიკი") თავისი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, რომელიც კიევში ჩატარდა, შესანიშნავ შედეგს მიაღწია — 579 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. საქართველოს ეს ახალი რეკორდი ა. გაზოვის ოლიმპიური რეკორდის გამეორებაა.

მხოლოდ ქულა დააკლდა

ლვოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირველობა ტყვიის სროლაში. სპორტსმენებმა ბოლო დღეებში კიდევ რამდენიმე მაღალ მაჩვენებელს მიაღწიეს: მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3X40) სროლაში მოსკოველმა **ვ. ვლასოვმა 1169 ქულა მოაგროვა. ეს 2 ქულით სჯობს ამერიკელი ლ. უიგერის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.** ვ. გორბუნოვმა „გაქცეულ ტახზე" ასპარეზობაში 579 ქულა აჩვენა და ოლიმპიური რეკორდი გაიმეორა. კიეველმა ა. ბარიომ პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში გაიმეორა იტალიელ ჯ. ლივერზანის მსოფლიო რეკორდი — 598, ხოლო ციმბირის სამხედრო ოლქის გუნდის წევრმა ვ. ვიტინსკიმ „გაქცეულ ტახზე" (ცვალებადი სიჩქარით მოძრავი სამიზნე) 387 ქულა აჩვენა. ეს იტალიელი ჯ. მეცანის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

ამავე შეჯიბრებაში თავი ისახელა **თბილისელმა ოსტატმა ვ. ხამოილენკომ, რომელმაც მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლილა 60 გასროლით 596 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.** მანვე საუკეთესო შედეგი აჩვენა სტანდარტზე წოლილა სროლის დროს — 399 ქულა 400-დან.

● ნიჩბოსნობა

გულითადი მასპინძლობა

ფოთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, ქალაქის ორგანიზაციებს აკადემიურ ნიჩბოსნობაში სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრების მონაწილეების გულითადი მასპინძლობისათვის არაფერი დაუშურებიათ. ყველა გუნდს თავისი შეფები მიუჩინეს.

— ოსტატი ირინა ეფიმოვა შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა. იგი, როგორც ქვეყნის ნაკრების წევრი, იმ დროს შეკრებაზე იყო, მაგრამ ქალებმა რიგ გაცურვებში მაინც დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს, — გვითხრა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ამ სახეობაში **გ. ელბაქიძემ**, — ცოტა უფრო ადრე კი რუსთაველმა ვ. კიავერიაინენმა გდრ-ში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ერთადგილიანით VI ადგილი დაიკავა, ხოლო შემდეგ ორადგილიანით III ადგილზე გავიდა, ეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს...

ფოთში, კიავერიაინენმა ვ. ქელტკოვასთან ერთად ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით შეჯიბრებაში რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიგო. ამ დუეტმა 1000 მეტრი კაპარჭაზე 3 წუთსა და 51,2 წამში დაფარა. ეს 24 წამით სჯობს მეორე პრიზიორის — ქუთაისის ნავის (ე. მატვეენკო, ი. ტოგონიძე) შედეგს. მესამე გახლდათ თბილისის დუეტი — 4,22,2.

— ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როცა გუნდებს ვეტერანი სპორტსმენებით აკომპლექტებენ, — გვეუბნება გ. ელბაქიძე, — სპორტკომიტეტები ცდილობენ საასპარეზოდ სრული გუნდებით ჩავიდნენ, მაგრამ არ ფიქრობენ რა შედეგებს აჩვენებენ აშკარად მოუმზადებელი ნიჩბოსნები, რომლებსაც დიდი ხანია არ უასპარეზიათ. ამასთან საბრძოლველად გადავწყვიტეთ ეკიპაჟებისთვის, რომლებიც ჩემპიონს 40 წამით ჩამორჩებოდნენ, ჩათვლა არ მიგვეცა. ამ სისტემამ არაერთი და ორი გუნდი დააზარალა.

რიგ გაცურვებში ძალთა შეფარდება აშკარად უთანაბრო იყო. ეს ზემოთ მოყვანილმა მაგალითმაც დაადასტურა. უფრო მეტი იყო სხვაობა ქალების უმესაჭო ორადგილიანებით შეჯიბრებაში: რუსთავის ნავმა (ტ. გორშკოვა, ნ. სვიოტიცკაია — 4 წუთი) აჭარის ეკიპაჟს ფინიშთან ზუსტად 25 წამით მიასწრო.

სამაგიეროდ, ვაჟებში რვაადგილიანებით 2000 მეტრზე ისეთი მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა, რომ ლიდერი უკანასკნელ მეტრებში გამოვლინდა. ეს იყო მასპინძელთა ნავი.

აკადემიურმა ნიჩბოსნობამ 320 სპორტსმენს მოუყარა თავი თბილისიდან (316 ქულა), ფოთიდან (303), ქუთაისიდან (218), აჭარიდან (215), აფხაზეთიდან (161), რუსთავიდან (92) და მცხეთიდან (76). საბოლოოდ ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

ერთადერთი ნაკრები, რომელმაც ყველა გაცურვაში ჩათვლა მიიღო, ფოთისა გახლდათ.

კითხვაზე, კმაყოფილია თუ არა მთავარი მწვრთნელი სპარტაკიადის შედეგებით, გ. ელბაქიძემ გვიპასუხა:

— საქართველოს ნაკრების წევრები, რომლებიც სპარტაკიადამდე ერთიანი გეგმით ემზადებოდნენ, ფოთის სტარტების წინ თავიანთ კოლექტივებს დაუბრუნდნენ. მართალია ამან მათ შედეგებზე ერთგვარად უარყოფითად იმოქმედა, მაგრამ მაინც, სწორედ ისინი იყვნენ ასპარეზობის ტონის მიმცემნი. ახლა, საკავშირო სპარტაკიადის ფინალამდე მაქსიმალურად გამოვიყენებთ დარჩენილ დროს და ვეცდებით კრილატსკოეს ასპარეზზე თავი არ შევირცხვინოთ.

ტექნიკური შედეგები

ქალები. 1000 მ. ერთადგილიანი. მ. ონიანი (ქუთაისი) — 4.02,0, კ. ხაჩატურიანი (აჭარა) — 4.12,0, მ. ფაფაზიანი (აფხაზეთი) — 4.45,8; **უმესაჭო ორადგილიანი.** რუსთავი (ტ. გორშკოვა, ნ. სვიოტიცკაია) — 4.00,0, აჭარა — 4.25,0, თბილისი — 4,25,2; **ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** თბილისი (ლ. ლავრელაშვილი, ო. მიზგარიოვა, ი. ტერეშჩენკო, ო. სელივანოვა, მესაჭე — ლ. ჯაგაევა) — 3.53,2, რუსთავი — 3.58,2, ქუთაისი — 4.02,0; **ოთხადგილიანი მესაჭით.** თბილისი (ა. ზინენკო, მ. ცოცხალაშვილი, დ. ცარციძე, დ. იობაშვილი, მესაჭე — მ. ელოევა) — 4 წუთი, აჭარა — 4.07,0, ქუთაისი — 4.19,0; **რვაადგილიანი.** თბილისი (ნ. დალაქიშვილი, ლ. ბიბილაშვილი, მ. გვრიტიშვილი, ლ. მარტინენკო, ე. ალავიძე, ნ. ზაალიშვილი, ნ. ბულაშვილი, მ. მესტვირიშვილი, მესაჭე — ნ. ჩაჩანიძე) — 3.43,0, აფხაზეთი — 3.51,0, ქუთაისი — 3.58,8.

ვაჟები. 2000 მ. ერთადგილიანი. ა. ესიკოვი (თბილისი) — 7.45,0, ვ. ოგურცოვი (აფხაზეთი) — 8.02,0, ვ. არუთუნიანი (აჭარა) — 8.22,0; **უმესაჭო ორადგილიანი.** თბილისი (ნ. ფილიევი, ს. კუდუხოვი) — 7.29,0, აჭარა — 7.43,0, ფოთი — 7.54,0; **ორადგილიანი მესაჭით.** თბილისი (ი. სოხინი, კ. ერმოლენკო, მესაჭე — ზ. ბერიძე) — 7.53.8, აჭარა — 8.04,8, აფხაზეთი — 8.50,0; **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** რუსთავი (რ. კარაპეტიანი, ი. ქელეხსაევი) — 7.13,0, თბილისი — 7.19,0, აჭარა — 7.44,0; **უმესაჭო ოთხადგილიანი.** მცხეთა (პ. კობალაძე, გ. თურქიაშვილი, გ. მამუკაშვილი, გ. მუზაშვილი) — 6.56,4, ფოთი — 7.08,4, აჭარა — 7.15,2; **ოთხადგილიანი მესაჭით.** ფოთი (ვ. პეტრიუკი, გ. პატარაია, გ. ცხომარია, ა. აკაევი, მესაჭე — ბ. ახალაძე) — 7.21,0, ქუთაისი — 7.39,0, მცხეთა — 7.47,0; **ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** თბილისი (ს. გოცირიძე, პ. ბორშჩოვი, ი. ლეპიკუ, ს. კარპინსკი) — 6.41,6, ფოთი — 7.07,6, აფხაზეთი — 7.13,6; **რვაადგილიანი.** ფოთი (ნ. პიჟოვი, ვ. შაპოვალოვი, ზ. პაჭკორია, მ. თუთბერიძე, მ. გრანიაკი, ლ. კინწურაშვილი, ბ. ლემონჯავა, მესაჭე — ვ. შუტვინი) — 6.46,0, თბილისი — 6.47,0, ქუთაისი — 6.47,8.

ო. გელაშვილი.

● კალათბურთი

ექვსეული ცნობილია

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო დღეს გუნდებმა, რომლებიც ფავორიტებად ითვლებოდნენ, მარცხი იწვნიეს. სიენაში საბჭოთა კალათბურთელებმა წააგეს ესპანელებთან — 90:101 (43:46); შეჯიბრების მასპინძლებმა, იტალიელებმა ვენეციაში წააგეს ჩეხოსლოვაკიელებთან — 68:74, ხოლო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა იუგოსლაველებმა გორიციაში მინიმალური ანგარიშით დათმეს შეხვედრა ისრაელთან — 76:77.

ამრიგად, ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს სსრ კავშირის, ესპანეთის, იუგოსლავიის, ისრაელის, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა. ნახევარფინალური მატჩები, როგორც ვიუწყებოდით, ტურინში ერთ წრედ ჩატარდება.

საუკეთესოთა შორის

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა დაამტკიცა 1978 წლის 10 საუკეთესო მსაჯის სია ფრენბურთში. ამ სიაში, სხვებთან ერთად 2 თბილისელიც შევიდა — რ. მურადოვი („ლოკომოტივი") და ს. სტეპანიანი („სპარტაკი").

გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

ტურისტის გვერდი

№ 3 (27)

„იავის“ მეგობართა შეხვედრა

ჩეხოსლოვაკიის მოტოციკლეტი „იავა“ დიდი პოპულარობით სარგებლობს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც. საბჭოთა მოტომრბოლელებმა ა. არბეკოვმა, ი. პლეხანოვმა, გ. კადიროვმა, ს. ტარაბანკომ და სხვებმა სწორედ ჩეხოსლოვაკური სპორტული მოტოციკლეტებით მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულები და სხვა მრავალი გამარჯვებები დიდ საერთაშორისო ტურნირებზე. ამას გარდა, „იავას“ დაუმეგობრდნენ ისინი, ვისაც მოტოტურიზმი იტაცებს. „იავა“ ხომ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სამოგზაუროდ, მშობლიური მხარის გასაცნობად, სპორტული დაოსტატებისთვის, მხნეობის, განწყობილების ასამაღლებლად...

საერთოდ, საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკური მოტოციკლების უდიდესი იმპორტიორია. მხოლოდ წლეულს ჩვენს ქვეყანაში 90 ათასი საგზაო და სპორტული მოტოციკლეტების პარტია ჩამოვა.

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციულად ეწყობა „იავასთან“ დამეგობრებულ სპორტსმენ-ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებები. „იავას“ მფლობელთა პაექრობა გაუმართავთ ოდესაში, კიშინიოვში, რიგაში, ლენინგრადში, მოსკოვში, კიევსა და მინსკში.

„იავას“ მეგობრები თბილისშიც იყვნენ. მათ ასობით და ათასობით კილომეტრი გამოიარეს, რათა ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ მოტოციკლების ფიგურულ მართვაში, „ტრიალში“, „სპრინტ-ლემანში“. გამართეს კონკურსები: „თბილისი — პრაღა — მეგობრობის მარშრუტი“, მოტოციკლეტის ტურისტული აღჭურვილობის მოწყობაში, საუკეთესო ფოტოსურათისთვის — „მოტოციკლეტი „იავა“ სსრ კავშირში“. მოაწყეს ტურისტული ფილმების დემონსტრაცია... ამგვარი ღონისძიება მერვედ მოეწყო.

თბილისში გამართული „იავის“ მეგობართა შეკრების ორგანიზატორი იყო ჟურნალ „ზა რულიომ“-ის რედაქცია საქართველოს დოსააფის ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკურ ორგანიზაციასთან და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „მოტოკოვის“ მონაწილეობით.

100-ზე მეტი მონაწილის სამდღიან პაექრობაში, ვაჟთა შორის მრავალჭიდში საუკეთესო აღმოჩნდა რიგელი ი. ვალეინისი. მან მოიპოვა შეკრება-შეჯიბრების მთავარი პრიზი —მოტოციკლეტი „იავა“. ქალთა შორის უძლიერესი იყო კიროვოგრადელი კ. ნიჟნიკი, რომელიც მოტოციკლეტის მისაბმელი ეტლით — „ველორექსით“ დაჯილდოვდა.

გუნდურ პირველობაში გამარჯვებისთვის განთქმული ჩეხოსლოვაკიური ბრძოლის თასი ელგაველებმა მოიპოვეს.

სამწუხაროდ, ამ საინტერესო ღონისძიებაში ერთობ უფეროლად გამოვიდნენ მასპინძლები. ისინი მეორე ეტაპიდან გამოეთიშნენ ბრძოლას, როცა საკონტროლო დროს გადააცილეს.

ნ. ნადიბაიძე.

„ფართო მომხმარებლისთვის“ მისაწვდომი... უღელტეხილები

იალბუზის ფერდობებზე, 4050 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ეგრეთწოდებული „თერთმეტთა თავშესაფარი“. ესაა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მაღალმთიანი მთამსვლურ-ტურისტული ბაზა, რომელსაც ერთდროულად 120 კაცი შეუძლია მიიღოს. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ „თერთმეტთა თავშესაფარი“ და საერთოდ იალბუზის რაიონი დღეს საერთაშორისო მნიშვნელობის მთამსვლური, სამთო-სათხილამურო და ტურისტული ცენტრია.

შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ თუ დღეს ამ რაიონის უღელტეხილებზე საინტერესო ლაშქრობებს აწყობენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მთამსვლელები და ტურისტები, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ მხატვარს რ. მირზაშვილს.

— 1931 წელს საკავშირო პროფსაბჭომ იალბუზის სამხრეთ ფერდობზე დაიწყო მთამსვლურ-ტურისტული სახლის, ეგრეთწოდებული „თერთმეტთა თავშესაფარის“ მშენებლობა, — იხსენებს რ. მირზაშვილი. — სახლის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი რაკოვსკი. მშენებლებისთვის საჭირო ყველა ნაწილი და დეტალი დაბა ტერსკოლში ჩამოიტანეს (სახლი წინასწარ იყო აგებული, შემდეგ დაშლილი ჩამოიტანეს და ასევე დაშლილი, ნაწილებად უნდა აეტანათ ზემოთ, ზღვის დონიდან 4050 მეტრის სიმაღლეზე). ახლომდებარე სოფლებში მუშახელის ორგანიზაცია არ მოხერხდა, ამიტომ სამუშაოს ხელმძღვანელმა დახმარება გვთხოვა. ეს საქმე მივანდე გიო ნიგურიანს, რომელმაც შეკრიბა ბეჩოს, უშხვანარის, ნაკრის და სხვა სოფლების 13 მკვიდრი. სწორედ მათ შეძლეს უმოკლეს დროში, 10 დღეში ამ უზარმაზარი სახლის ასაწყობი დეტალების აზიდვა შავ კლდეებთან. 4050 მეტრის სიმაღლეზე. სადაც ახლა დირიჟაბლივით გაწოლილა „თერთმეტთა თავშესაფარი“.

როგორც ცნობილია, სამთო ტურიზმი მშრომელთა აქტიური დასვენებისა და გაჯანსაღების უებარი წამალია. დღეს ათასობით საბჭოთა ადამიანი გატაცებით მისდევს მას. კავკასიონის მთავარი ქედის მაღალმთიან უღელტეხილებზე, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მაღლაა, განსაკუთრებით ზაფხულობით სუფევს დიდი გამოცოცხლება, — ჯგუფები უწყვეტ ნაკადად გადმოდიან ჩრდილოეთ კავკასიონიდან საქართველოში და პირიქით. მათ ემსახურებათ თანამედროვე კომფორტული ტურისტული ბაზები, რომლებიც უშუალოდ უღელტეხილების კალთებზეა აშენებული. მოგზაურობის მოყვარულთ ემსახურებათ გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორები.

— მაგრამ ასე როდი იყო 50 წლის წინათ. ყველაფერი მაშინ იწყებოდა. ბევრი ენერგია და დაძაბული შრომა დაგვჭირდა, რომ კავკასიონის მაღალმთიანი უღელტეხილები „ფართო მომხმარებლისთვის“ მისაწვდომი გაგვეხადა, — მოგონებებს აგრძელებს რ. მირზაშვილი, რომელიც ამ 50 წლის წინათ ხელმძღვანელობდა ძირითადად უღელტეხილებზე ტურისტული მარშრუტების შედგენას. —ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ვიყავი, როცა 1929 წელს საზოგადოება „საბჭოთა ტურისტმა“ დამავალა ტურისტული მარშრუტების შედგენა კავკასიონის მაღალმთიან უღელტეხილებისთვის. იმ დროისთვის კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე გეგმიანი მარშრუტები არ არსებობდა. ტურიზმითა და მოგზაურობით გატაცებულთა ლაშქრობას უსისტემო ხასიათი ჰქონდა. ამიტომაც ხშირი იყო მარცხი. უღელტეხილებზე მოგზაურობა რომ უხიფათო ყოფილიყო და ზეკარები მშრომელთა აქტიური დასვენების სამსახურში ჩამდგარიყვნენ, აუცილებელი გახდა მარშრუტების, აღწერილობებისა და სქემების შედგენა, აგრეთვე, მარშრუტების საკვანძო ადგილებში თავშესაფარი ქოხების აშენება და ასე შემდეგ. იმ ხანად გეგმიანი მარშრუტი მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზაზე გადიოდა. სქემებისა და აღწერილობების შედგენა აუცილებელი იყო თითქმის ყველა ზეკარისთვის. მე შევასრულე საკავშირო ტურისტული მარშრუტის აღწერილობა ორჯონიკიძიდან ქუთაისამდე მამისონის ზეკარის გავლით. კავკასიონის მთავარი ქედის უბანზე, რომელიც იალბუზიდან იწყება, თავმოყრილია ტურისტთათვის საინტერესო ზეკარები. იმ დროს არც ერთ მათგანზე არ გადიოდა საკავშირო მარშრუტები, არა და, ტურისტთა ჯგუფებს დასასრული არ უჩანდა — მიდიოდნენ და მოდიოდნენ. სამუშაო, როგორც იტყვიან, თავსაყრელი გვქონდა. ავაგეთ თავშესაფარი ქოხები დონღუზორუნის ძირში ჩრდილოეთიდან და სოფელ ნაკრაში სამხრეთით, ბეჩოს ძირში ჩრდილოეთიდან, იუსენგის ხეობაში და სოფელ უშხვანარში სამხრეთით. თავშესაფარი ქოხები ავაგეთ ლეღზირზე, ტვიბერზე, წანერზე. „გავკვალეთ“ მაღალმთიანი ბილიკები მყინვარებზე და თოვლიან ფერდობებზე ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მაღლა.

აი, ასე ეყრებოდა საძირკველი კავკასიონზე ტურისტული მარშრუტების შედგენას, რომელიც ახლა ძალზე პოპულარულია ჩვენი ქვეყნის მოგზაურობის მოყვარულთა და არა მხოლოდ მათ შორის.

ი. ხაბულიანი,
ალპინიზმის ინსტრუქტორი.

* * *

სურათზე: სვანეთის ქედის ერთი ნაწილი.

ა. გურასაშვილის ფოტო.

უფსკრულში მხოლოდ ქალები იყვნენ

ამას წინათ საქართველოს ესტუმრა ჩელიაბინსკელი სპელეოლოგების ჯგუფი, ოლქის სპელეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის ს. ბარანოვის ხელმძღვანელობით. ჩვენთან ერთად ჯგუფმა იმოგზაურა საქართველოს კარსტულ ზოლში, ეწვია სათაფლიას, წყალტუბოს, საწურბლიას, ყუმისთავის, სოლკოტას, აბრსკილისა და ახალი ათონის მღვიმეებს.

ჩვენი მღვიმეების სილამაზემ დიდი შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე, რომლებიც აღტაცებას ვერ მალავდნენ მსოფლიოში ცნობილი ახალი ათონის მღვიმის ხილვისას. მათ განიზრახეს ახლო მომავალში კვლავ ჩამოვიდნენ საქართველოში, ამჯერად უფრო რთული სპორტული ჩასვლების მოსაწყობად. ჩელიაბინსკელ სპელეოლოგებს, რომ იტყვიან, ძალა შესწევთ ქადილისა — მათ ანგარიშზეა ათობით ახლადაღმოჩენილი და გამოკვლეული მღვიმე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კარსტულ რაიონში. სექციის წევრები გამოირჩევიან მაღალორგანიზებულობით, კარგი ფიზიკური მომზადებით. მათთან სპელეოტურიზმის ჭეშმარიტი ენთუზიასტები არიან თავმოყრილნი.

აღსანიშნავია, რომ ჩელიაბინსკელმა სპელეოლოგებმა ჩვენს ქვეყანაში პირველებმა განახორციელეს „მიწისქვეშა ტრავერსი“. მათი ჯგუფი დასავლეთ კავკასიონზე, ალეკის მასივზე „ოსენნაიას“ ხუთასმეტრიან უფსკრულში ჩაეშვა და ზედაპირზე „ნაზაროვსკაიას“ უფსკრულიდან ამოვიდა.

რვაკაციანი ჯგუფი ორად იყო გაყოფილი. 420 მეტრის სიღრმის უფსკრულის დასაპყრობად რაზმმა მხოლოდ 4 ორმოცმეტრიანი თოკი გამოიყენა. მსგავსი ტრავერსი ჯერჯერობით არც ერთ სპელეოლოგიურ ჯგუფს არ განუხორციელებია ჩვენს ქვეყანაში! ტრავერსს ს. ბარანოვი ხელმძღვანელობდა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქალთა ჯგუფის მიერ „ნაზაროვსკაიას“ უფსკრულის დალაშქვრა 320 მეტრის სიღრმემდე. თუმცა ეს უფსკრული ღარიბია ნალვენთი ფორმებით, რომელიც ძალზე იზიდავს მიწისქვეშეთის მკვლევართ, მაგრამ სპელეოლოგები მას იცნობენ როგორც მრისხანე. პირქუშ უფსკრულს, რომელიც გაოცებთ გრანდიოზულობით. აქ ყოველ ნაბიჯზეა მოსალოდნელი ხიფათი. „ნაზაროვსკაიას“ უფსკრული მე-4 კატეგორიის სირთულისაა.

საქართველოში ჩამოსულ სპელეოლოგიურ ჯგუფში ამ იერიშის ორი მონაწილეც იყო — ტ. ოკუნევა და გ. სუვოროვა.

სპელეოტურიზმის ინსტრუქტორს, იერიშის ხელმძღვანელს **ტ. ოკუნევას** ვთხოვეთ „ლელოს“ მკითხველებისთვის მოეთხრო ამ ექსპედიციის შესახებ.

— ქალთა ჯგუფის მიერ რომელიმე ცნობილი უფსკრულის დალაშქვრის იდეა ჩვენს სექციაში რამდენიმე წლის წინ დაიბადა, — გვეუბნება ტატიანა. დიდხანს და გულმოდგინედ ვემზადებოდით. 1976 წლის ზაფხულში ალეკის მასივს ვეწვიეთ. ჩვენს ჯგუფში შვიდი ქალი იყო. დაინიშნა შტურმის დღე, საბოლოოდ მივიღეთ ინსტრუქტაჟი, დავთქვით საკონტროლო დრო და ექსპედიციის ხელმძღვანელობამ გზა დაგვილოცა. რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც ორასმეტრიან ნიშნულს მივაღწიეთ, რაღაც უცნაური გუგუნი შემოგვესმა. ცოტაც და უფსკრულში წყლის ნაკადმა იხუვლა, რომელიც თანდათან ღვართქაფად გადაიქცა. ჯერ-ჯერობით გზის გაგრძელებას აზრი არა ჰქონდა, უკან ამოსვლაც შეუძლებელი იყო. ამიტომ მშრალ „თაროს“ შევაფარეთ თავი. შვიდი საათი ვიყავით მომწყვდეული „ხაფანგში“. მერვე საათზე წყლის ნაკადმა იკლო. ზედაპირიდან ექსპედიციის ხელმძღვანელობა რადიოთი დაგვიკავშირდა. ნება დაგვრთეს საკუთარი შეხედულებისა და შექმნილი მდგომარეობის მიხედვით მოვქცეულიყავით. „ქვემოთ, მხოლოდ ქვემოთ!“ ასეთი იყო ჯგუფის წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილება. არ გვინდოდა იოლად დაგვეთმო სტიქიისთვის. ჩვენ ხომ ამ ლაშქრობისთვის რამდენიმე წელიწადი ვემზადებოდით! იერიში განვაგრძეთ და ოცდახუთი საათის განუწყვეტელი სიარულის შემდეგ, დილის ოთხ საათზე მშვიდობით დავბრუნდით ზედაპირზე.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა **ს. ბარანოვმა** დაუმატა:

ჩვენმა ქალებმა სიმტკიცე და მაღალი ორგანიზებულობა გამოიჩინეს: დიდი განსაცდელის ჟამს მორალურად არ დაცემულან. არადა მიწის ქვეშ წყალდიდობა ყველაზე საშინლად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. რამდენიმე წლის ენერგიულმა ვარჯიშმა თავისი გაიტანა — ჩვენი გოგონები ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ ბუნების მკაცრ გამოცდას. სპელეოლოგიური კვლევების ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მოიერიშე ჯგუფი მთლიანად ქალებით იყო დაკომპლექტებული. ტატიანა ოკუნევა კი ჯერ-ჯერობით ერთადერთი ქალია მსოფლიოში, რომელიც უმაღლესი კატეგორიის სირთულის უფსკრულში ქალთა რაზმს ხელმძღვანელობდა. ახლო მომავალში განზრახული გვაქვს საქართველოს კარსტულ მასივებს ვეწვიოთ. რაჭის, ხვამლის, ასხისა და ბზიფის მასივები კარგა ხანია იქცევენ ჩვენი ქვეყნის სპელეოლოგების ყურადღებას. ბზიფის ქედზე ხომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ულრმესი უფსკრულია აღმოჩენილი. ვინ იცის, იქნებ სწორედ საქართველოში დაიბადოს მსოფლიოს რეკორდიც.

ჯ. ჯიშკარიანი,
საქართველოს ტურიზმის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

* * *

სურათებზე: ფოტოგადაღება ახალი ათონის მღვიმეში; სოლკოტას მღვიმეში. წინა პლანზე — გიგანტური სტალაგმიტი, რომლის სიმაღლე რვა მეტრს აღემატება; მდინარე აბაშის სათავე, რომელიც ტობის ჩანჩქერის სახელითაა ცნობილი.

ავტორის ფოტოები.



სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები...

„ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში განვახორციელებთ წარმატებით, თუ ყველა ჩვენი პარტიული კომიტეტი საქმიანად მოჰკიდებს ხელს მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის განვითარების საქმეს“.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. შევარდნაძის გამოსვლიდან.

●

ენთუზიაზმის დიდი ძალა

სამიოდე თვის წინათ გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივნის **ა. ბურჯანაძის** წერილი, რომელშიც ფართოდ იყო მოთხრობილი სპორტული ბაზების მშენებლობაში ამ რაიონის მისაბაძ თაოსნობაზე.

თერჯოლის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით, მაგრამ მიღწეული, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ პირველი ეტაპია დიდი მოძრაობისა. ამ მოძრაობას სათავეში უდგანან და შრომითი კოლექტივების, სასწავლებლების, ცალკეული ორგანიზაციების ენთუზიაზმს ერთი მიზნისკენ წარმართავენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები. ახლაც რაიონში შეუნელებელი ტემპით გრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღებაა გადატანილი სოფელზე. სულ მალე, როგორც ამას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვითვალდებულებები ითვალისწინებს, არც ერთი სოფელი არ დარჩება მარტივი სპორტული ბაზის გარეშე. ის კი არადა, ყველა მათგანს ექნება უბრალო საცურაო აუზი, რაც დიდად შეუწყობს ხელს მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ფართოდ დანერგვას სოფლის მშრომელთა შორის.

დღეს რაიონის ერთი სამაგალითო სოფლის, კერძოდ, **ჰოგნარის ფიზკულტურული კოლექტივის წარმატებებს** გაგაცნობთ. იმერეთის სოფლებიდან ჰოგნარი იყო პირველი, რომელმაც საკუთარი ძალებითა და სახსრებით აგო საჭიდაო დარბაზი და ღია სპორტული კომპლექსი. ჰოგნარი ერთადერთი სოფელია მთელს რესპუბლიკაში, სადაც მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ტრასა მოეწყო.

ხდება ხოლმე: ესა თუ ის საქმე აუცილებლად უნდა მოგვარდეს, გასაკეთებელიც აუცილებლად, ხშირად ერთიანი ძალით უნდა გაკეთდეს, მაგრამ წამომწყები, პირველი ნაბიჯის გადამდგმელი არვინ ჩანს. თანასოფლელებს ასეთ თაოსნად ჰოგნარის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი **ელგუჯა ლანჩავა** მოევლინათ. ელგუჯამ ჯერ სკოლის ეზოში მოაწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, ღია ტანვარჯიშული ბაქანი, მიწისქვეშა გასახდელები. სოფლის თვალს დაუნახავ-შეუფასებელი არაფერი დარჩება. ამიტომაც ჰოგნარელები სიხარულით შეხვდნენ ელგუჯა ლანჩავას წინადადებას, მხარში ამოუდგნენ და სოფლის ცენტრში საუცხოო სპორტული კომპლექსიც მოაწყვეს.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ივანე სვინტრაძე** გვიამბობს: „ელგუჯამ ჩვენ სკოლაში მუშაობა ამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. სოფელში არც ერთი სპორტული მოედანი არ გვქონდა. მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყავი. ელგუჯამ ერთი ეკალბარდით გადავლილი, სახნავ-სათესად გამოუსადეგარი მიწის ნაკვეთი შეარჩია და გვთხოვა, დაგვითმეთო. რამდენიმე კვირაში ენთუზიასტებმა იმ უდაბურ ადგილზე მშვენიერი სპორტული მოედანი მოაწყეს. შემდეგ წელიწადს ჩვენმა სოფელმა სპორტული ბაზების გაშენების რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებაში საპრიზო ადგილი დაიკავა. ჯილდოდ ვიმპელთან ერთად საჩუქარიც მივიღეთ. ენთუზიასტებმა ძველი სასაწყობო მეურნეობაც გამოიყენეს — ახლა მის ადგილზე სოფლის ახალგაზრდობისთვის ესოდენ საჭირო სპორტული ნაგებობა დგას“.

სოფელი და მისი საშუალო სკოლა უკვე თამამად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებში. სპორტული ბაზების საკავშირო კონკურს-დათვალიერებამ, რომელიც 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება, ჩვენს რესპუბლიკაში პირველ ეტაპზე გამარჯვება სწორედ ჰოგნარის საშუალო სკოლას მიაკუთვნა. სულ მალე შეჯამდება მეორე ეტაპის შედეგები და პირველ ორ ადგილზე გასული სკოლები შემდგომი წარმატებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

სოფელში იზრდებიან ფიზკულტურული კადრებიც. ექვსმა ჰოგნარელმა ახალგაზრდამ უკვე მიიღო უმაღლესი ფიზკულტურული განათლება. დღეს ისინი მხარში უდგანან ელგუჯა ლანჩავას — თავიანთ მასწავლებელს და ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა მათ მიერ აღზრდილ სპორტსმენებს რესპუბლიკის საუკეთესო გუნდებშიც ვიხილავთ. ამ მიზანთან უკვე ახლოს დგანან მოჭიდავეები, რომლებსაც დიდი მონდომებით ავარჯიშებს ამ სოფლის მკვიდრი, სპორტის ოსტატი **ზაურ ედიბერიძე**. ზაურმა უკვე სამი სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატი აღზარდა კლასიკურ ჭიდაობაში.

სხვათა შორის, ჰოგნარი იმთავითვე სპორტული სოფელი ყოფილა. სოფლის ცენტრში დღესაც არის ადგილი, რომელსაც ხალხი „სათემოს“ ეძახის. საღამოობით თურმე აქ იკრიბებოდნენ ახალგაზრდები. იმართებოდა შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებში, ერთობოდნენ ხალხური თამაშებით. განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ქართული ჭიდაობა, ცხენოსნობა, მშვილდოსნობა. სოფელში ლეგენდად იქცა შესანიშნავი ფალავნების შალვა, გრიშა და სილიბისტრო ბასილაძეების, გერასიმე და ალიოშა ლანჩავების ვაჟკაცობა.

წარსულისა და თანამედროვე სპორტული ტრადიციების შერწყმა, თანასოფლელთა ერთსულოვნება, მონდომება და თავდადება მომავალში კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის ჰოგნარელ ენთუზიასტთა წარმატებებს.

თ. ჭეელი.

* * *

სურათზე: ე. ლანჩავა (მარჯვნივ) სოფლის ფიზკულტურულ აქტივთან.



I ლიგაში

11 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები სვერდლოვსკში შეხვდნენ ადგილობრივ „ურალმაშს“ და დამარცხდნენ ანგარიშით 0:2.

სხვა მატჩები ლიგაში დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ზვეზდა“ (პერმი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 0:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „ტრაქტორი“ (პავლოდარი) — „ალგა“ (ფრუნზე) 0:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — ასკ (ოდესა) 0:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „თერგი“ (გროზნო) 2:3, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შინიკი“	17	11	5	1	23—5	27
„კარპატი“	16	11	3	2	32—14	25
„ურალმ.“	18	10	4	4	25—12	24
„ყუბანი“	17	9	5	3	26—15	23
„ტორპ.“	17	7	6	4	15—11	20
„ფაკელი“	17	7	5	5	23—19	19
„ჟალგირ.“	18	6	7	5	19—17	19
„კუზბასი“	18	8	2	8	15—17	18
„მეტალ.“	17	7	4	6	12—18	18
„თერგი“	18	6	6	6	22—24	18
„დნეპრი“	18	6	6	6	21—23	18
„ნისტრუ“	18	4	10	4	12—13	18
„პამირი“	16	7	3	6	14—13	17
„სპ.“ ნ.	17	6	5	6	19—17	17
„სპ.“ ორ.	18	7	2	9	23—21	16
„ზვეზდა“	18	5	6	7	14—15	16
„სპ.“ ი.-ფ.	18	5	6	7	10—18	16
„ალგა“	18	6	3	9	18—28	15
ასკ ოდ.	18	4	7	7	18—17	15
„ტავრია“	18	5	4	9	9—20	14
„ტრაქტ.“	18	4	6	8	7—14	14
„კოლხ.“	18	3	8	7	13—20	14
„მეტალ.“	18	3	5	10	22—32	11
„დინ.“ ლ.	18	3	4	11	17—26	10

მათ შესახებ, ვინც გვაკლია

2-4 ივნისს ნიცაში გაიმართა იუნიორ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისთვის ბლიც-ტურნირი უნდა ეწოდებინათ. 6 გუნდი დაყვეს 2 ქვეჯგუფად. სტუმრები — ინგლისის „ლივერპული“, ესპანეთის „ბარსელონა“, იუგოსლავიის „ველეჟი“ და ჩვენი გუნდი დღეში თითო მატჩს თამაშობდნენ, ხოლო მასპინძლებს — კანელებს და ადგილობრივ კლუბ „კალიგალის“ იუნიორებს დილასაღამოსაც კი უწევდათ თამაში. საბჭოთა გუნდმა პირველად მოუგო „ველეჟს“ — 4:1, შემდეგ „კანს“ — 5:0, ხოლო ფინალში დაამარცხა „ლივერპული“ — 3:0. საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი დაისაკუთრა ს. სტუკაშევმა (5 ბურთი), ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი — ი. პონომარიოვმა. როგორც წესი, ასეთ წარმატებას აშკარასა და უდავოს უწოდებენ. დიახ, ნიცის სტადიონზე იგი სწორედ ასე გამოიყურებოდა. მაგრამ ჩვენს ფეხბურთში არსებული საქმის ვითარება გვაიძულებს ასეთ სასიამოვნო ფაქტსაც კი უფრო ყურადღებით და ფრთხილად მოვექცეთ.

ახლახან ერთი ავტორიტეტული უცხოელი ფეხბურთის მიმომხილველი დაესწრო ჩვენი ჩემპიონატის მატჩებს. როცა ვთხოვე თამაშების შესახებ შთაბეჭდილება გაეზიარებინა, მან ჩამოთვალა ყველაფერი, რაც მოეწონა, შემდეგ კი დელიკატურად აღნიშნა: „მხოლოდ მომეჩვენა, რომ ყველა მოთამაშე როდი ესადაგება უმაღლეს ლიგას...“

ეს ამბავი ჩვენთვის აღმოჩენა არ არის, კარგად ვიცით, რომ კვალიფიციური ფეხბურთელები გვაკლია, რომ ამ მიზეზით ცნობილი კლუბების ძირითადი შემადგენლობებიც კი არ შეიძლება მივიჩნიოთ მთლიანად დაკომპლექტებულად, რომ ყველა კლუბს აქვს საკმაოზე მეტი სუსტი ადგილი. და რა თქმა უნდა, მთელი ყურადღება მიპყრობილია ჭაბუკთა ფეხბურთისადმი.

როცა ნიცის ტურნირის ორგანიზატორები გვემშვიდობებოდნენ, მათ განაცხადეს, რომ საბჭოთა გუნდს უეჭველად მიიწვევენ მომავალ წელსაც, ვინაიდან დაინტერესებული არიან მათთან ჩავიდნენ საუკეთესონი. მადლობა გადავუხადეთ, ხოლო ცოტა მოგვიანებით, მწვრთნელებმა ს. კორშუნოვმა და ნ. კისელიოვმა გამანდეს, რომ ძალიან გაუჭირდებათ ერთი წლის შემდეგ ისეთი გუნდის გამოყვანა, რომელიც შეძლებს ასე დამაჯერებლად ასპარეზობას.

ჩვენმა ჭაბუკებმა ბოლო წლებში არაერთ წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე. ეს თავისთავად სასიამოვნოა და უმთავრესად იმიტომაც, რომ ისინი ასეთ ტურნირებში კარგ სკოლას გადიან. ახლახან, ერთ-ერთ თათბირზე თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა თავისი კლუბის მოთამაშეთა და ქვეყნის პირველი ნაკრების კანდიდატთა დახასიათებისას შენგელიაზე და დარასელიაზე თქვა, რომ თუმცა ორივე ახალგაზრდაა, მაგრამ იმის წყალობით, რომ ბევრს თამაშობდნენ ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში, შეიძლება ჩაითვალონ გამოცდილ ფეხბურთელებად. და ეს სწორიცაა. ამავე კატეგორიას ეკუთვნიან კიეველები ბესონოვი, ბოლტაჩა, ხაპსალისი, ჟურავლიოვი, სპარტაკელი ხიდიატულინი.

შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ იმარჯვებენ მოთამაშეთა საკმაოდ განსაზღვრული წრის მეშვეობით. მაგალითად, იმ გუნდმა, რომელიც ერთი წლით ახალგაზრდაა ნიცაში მოასპარეზებთან შედარებით, წააგო ტურნირები მონაკოსა და ტაშკენტში და ვერ შეძლო უეფა-ს წლევანდელ ჩემპიონატში გასვლა. ასეთი ჩავარდნები იმას მოწმობს, რომ სპორტულ სკოლებში იუნიორთა შერჩევა და სწავლება ჯერჯერობით ვერ პასუხობენ ჩვენი დიდი ფეხბურთის მოთხოვნებს.

ნიცაში დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით ჭაბუკი ინგლისელების თამაშს. ისინი, უკლებლივ ყველა ტექნიკურია, მათი გუნდები თამაშობენ მოფიქრებულად, აწყობილად, ამასთან, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, ნამდვილი სპორტული გაფთრებით თამაშობენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი ფეხბურთის ანბანი. როცა ისინი ჩვენს გუნდთან აგებდნენ 0:2, არ დაბნეულან და ბოლო წამებამდე უტევდნენ. მესამე გოლი ჩვენებმა ბოლო წუთს გაიტანეს. ეს იყო ძალზე დაძაბული მატჩი, რომელმაც მოთამაშეთაგან მთელი ძალების მობილიზება და მაქსიმალური ნებისყოფა მოითხოვა.

ჩვენმა მწვრთნელებმა ეს მატჩი ძალზე სასარგებლოდ ჩათვალეს, ვინაიდან აქ ნათლად გამოჩნდა მოთამაშეთა როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. საქმე ისაა, რომ ამ გუნდიდან ბევრი მალე გაემგზავრება იაპონიაში იუნიორთა მსოფლიოს II ჩემპიონატზე. ჩემს ამოცანას არ წარმოადგენს კანდიდატების შეფასება, მით უმეტეს, შერჩევა ჯერ არ დამთავრებულა. ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა: ამ საერთოდ კარგ და ბრძოლისუნარიან გუნდშიც კი ყველა მოთამაშე არ არის საკმაოდ მომზადებული, უფრო მეტ ტაქტიკურ და ტექნიკურ შეცდომას უშვებენ, ვიდრე ეს მოსალოდნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ მათ უკვე არც თუ მცირე საერთაშორისო გამოცდილება აქვთ.

ამასთან, არსებობს ერთი შეხედვით პარადოქსული მოვლენა. უყურებ 18-19 წლის ფეხბურთელს და გიკვირს: რატომ არ თამაშობს იგი ძირითად შემადგენლობაში, ან რატომ გამოდის მინდორზე ძალზე ცოტა ხნით. როგორც ჩანს, მწვრთნელები უფრო ენდობიან ნაკლებად ნიჭიერ, მაგრამ გამოცდილ ფეხბურთელს, ვიდრე ახალგაზრდას, რომელსაც კიდევ სჭირდება დრო საკუთარი თავის სრულად გამოსავლენად. მაგრამ სად არის ეს დრო? და აი, ზოგიერთნი ბედნიერი შემთხვევის მოლოდინში ერთ ადგილს ტკეპნიან. მე მართებულად მიმაჩნია იუნიორთა გუნდების მწვრთნელთა აზრი იმის თაობაზე, რომ იმ ჭაბუკთა ბედით, რომელთაც ვერ იყენებენ თავიანთ კლუბებში, უნდა დაინტერესდეს ფეხბურთის ფედერაცია.

ხანდახან ეკითხები: „რატომ არა აქვს ამა თუ იმ ახალგაზრდას გამომუშავებული დარტყმა, თუ იგი 7-8 წელიწადია ფეხბურთს სწავლობს?“. და მაშინვე გპასუხობენ: „მას ხომ ისეთები ასწავლიან, რომლებსაც თვითონ არ შეუძლიათ ბურთის დარტყმა“.

დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები, რომლებსაც ფეხბურთის თამაში შეუძლიათ, ჩვენთან საკმარისად გვყავს. საქმე ისაა, რომ მათ უნდა შესაფერისად ასწავლო, კარგად მომზადებული იუნიორები არ გვყოფნის. ყველა ეს საფიქრალი მომეძალა ნიცის ტურნირზე, რომელიც ჩვენი გუნდისთვის ასე წარმატებით დამთავრდა.

ლ. ფილატოვი,
საკდესის ფეხბურთის მიმომხილველი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

კონკურსის 111 ათასი მონაწილე

იტალიურმა გაზეთმა „კორერო დელო სპორტმა“ მოაწყო მკითხველთა რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 111 ათასმა კაცმა. კონკურსს ერთადერთი კითხვა ჰქონდა: შეადგინეთ ომისშემდგომი პერიოდის იტალიის იდეალური ნაკრები.

მკითხველებმა ასეთი გუნდი შეადგინეს: ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, კასტილიანო, პაროლა, პიკი, დომენგინი, მაცოლა, როსი, რივერა, რივა.

ხმათა უმრავლესი რაოდენობა მიიღო რივამ — 98.501. შემდეგ მოდიან ბურგნიჩი (96.412). ფაკეტი (95.011) და ა. შ.

მწვრთნელებს შორის საუკეთესოდ აღიარეს ფ. ვალკარეჯი, რომლის ხელმძღვანელობითაც იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა 1968 წელს და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი — 1970 წელს.

ახალი სისტემით

ბრაზილიაში ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი ამიერიდან ჩატარდება ახალი ფორმულით. პირველ ლიგაში გაერთიანდნენ რიო-დე-ჟანეიროს, სან-პაულუს, ბელუ-ორიზონტის, პორტუ-ალეგრესა და სხვა შტატების უძლიერესი კლუბები. მეორე ლიგაში მოხვდებიან ნახევრადპროფესიული და სამოყვარულო კლუბები.

ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია ბრაზილიური ფეხბურთის მძიმე ფინანსური მდგომარეობით. ამას გარდა, რეფორმა მოითხოვა ეროვნული ნაკრების სელექციონერმა კ. კუტინიომ, რომელსაც სურს მხედველობის ქვეშ რეგულარულად ჰყავდეს ნაკრების კანდიდატებიც და ახალგაზრდებიც.

კლუბი არ უშვებს

ოსტრავის „ბანიკის“ მეკარე შმუკერი ყველაზე ხნიერი ფეხბურთელია ჩეხოსლოვაკიის ლიგაში, იგი 39 წლისაა.

უკვე რამდენიმე წელია სეზონის დამთავრების შემდეგ შმუკერი განცხადებით მიმართავს ხოლმე თავისი კლუბის ხელმძღვანელებს, მისცენ მას „პენსიაზე გასვლის“ ნება. მეკარე აპირებს ნორჩი ფეხბურთელების წვრთნას მიჰყოს ხელი. შმუკერს ყოველთვის უარს ეუბნებიან და იგი კიდევ ერთი წლით აგრძელებს ფეხბურთელის კარიერას.

ჭაბუკი ფალავნები

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონის საჭიდაო დარბაზში დამთავრდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1963-64-65 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდა 87 მონაწილე თბილისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ცხინვალიდან. პირველობაზე, რომელიც 16 წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა, ჩემპიონები გახდნენ: გ. გაგლოევი, ა. ჯიოევი (ორივე — ცხინვალი), მ. შავაძე, გ. დარჩია, ვ. აბდიბა (ყველა — ბათუმი), დ. მუშკუდიანი, ე. მეგრელიშვილი (ორივე — სოხუმი), დ. აზმაიფარაშვილი, ი. თიგიშვილი, ნ. ქობულაშვილი, ნ. ლობჟანიძე, ი. გურგენიძე, თ. ჯალილოვი, ა. ასადოვი, ა. დარახველიძე და ზ. ვარდიაშვილი (ყველა — თბილისი).

დაკომპლექტდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები, რომელიც 19-24 ივნისს იასპარეზებს ლვოვში, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

გ. დოლენჯაშვილი.

* * *

სურათზე: ასპარეზობის ერთი ეპიზოდი.

ავტორის ფოტო.



მხარი-მხარ მიდიან

მოსკოვში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში შედგა IX ტური. თბილისელმა ნანა იოსელიანმა დაამარცხა რუმინელი რეიხერი. ტურნირის დანარჩენი ორი ლიდერის, კრასნოიარსკელი ე. ახმილოვსკაიასა და ლენინგრადელი ი. ლევიტინას შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

9 ტურის შემდეგ იოსელიანს 5,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, ახმილოვსკაიასა და ლევიტინას — 4,5-4,5 ქულა და სამ-სამი გადადებული პარტია.

● ჭადრაკი

სამოცდაოთხ უჯრაზე

ამ დღეებში საბჭოთა მოჭადრაკეები რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ.

ჯაკარტაში ე. წ. „აზიურ" ტურნირში ერთბაშად სამმა მონაწილემ დააგროვა 6,5 ქულა. ესენი არიან საბჭოთა დიდოსტატები ი. დორფმანი, ი. ავერბახი და ფილიპინელი ე. ტორე. I-II ადგილები მიეკუთვნათ დორფმანსა და ტორეს.

კუბის ქალაქ **სიენფუეგოსში** დამთავრდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ხ.-რ. კაპაბლანკას მემორიალი, რომელშიც გაიმარჯვა ჩელიაბინსკელმა ე. სვეშნიკოვმა — 11 ქულა. ბოლო, XIII ტურში მან დაამარცხა მექსიკელი სისნიეგი.

იუგოსლავიის ქალაქ **ნოვი-სადში** ქალთა საერთაშორისო ტურნირში 9 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისელი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია, რომელსაც 7,5 ქულა აქვს 9-დან. II ადგილზეა ხ. ერენსკა (პოლონეთი) — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ბლედში (იუგოსლავია) ექვსი ტურის შემდეგ ვოროშილოვგრადელ გ. კუზმინს 4 ქულა აქვს, ხოლო ომსკელ ვ. ცეშკოვსკის 3,5. ლიდერობს არგენტინელი მ. კინტეროსი — 4,5 ქულა.

უნგრეთის ქალაქ **კეჩკემეტში** ლ. ტოტის მემორიალში 7 ტურის შემდეგ ლიდერობს კუბელი ნოგეირასი — 5,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ერევნელი დიდოსტატი რ. ვაჰანიანი.

რეგბი-79

ვაკანტურია ერთი ადგილი

გასულ კვირას რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრების დამთავრების შემდეგ გახდა ცნობილი იმ ხუთი გუნდის ვინაობა, რომლებიც 24 ივნისიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით ქვეყნის ჩემპიონატის ჯილდოებს გაითამაშებენ. ესენია: სსრ კავშირის თასის მფლობელი, შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი — თბილისის „ლოკომოტივი", შარშანდელი ჩემპიონი — კიევის „ავიატორი" და ვერცხლის მედალოსანი — მოსკოვის „ფილი", ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიისა და მოსკოვის „სლავას" გუნდები.

ფინალურ ჯგუფში მეექვსე ვაკანტური ადგილისთვის იბრძვიან მოსკოველი რკინიგზელები, კიევის „პოლიტეხნიკი" და თბილისის „ელვა".

1 ივლისიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით უმაღლეს ლიგაში VII-X ადგილებზე დარჩენილი კოლექტივები პირველი ლიგის 4 უძლიერეს გუნდთან (ალმა-ათის „პოლიტეხნიკი", ელგავის რაფ-ი, ლენინგრადის „პრიმორეცი" და ლვოვის „სოკოლი") პაექრობაში დაიცავენ მომავალი წლისთვის უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლებას.

კვირას, მოსკოვის „ფილიმ" დაამარცხა გაგარინელთა კოლექტივი — 15:9, კიევის „ავიატორმა" — კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკი" — 19:7, ხოლო „სლავამ" — მოსკოვის „ლოკომოტივი" — 18:4.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
„ლოკ." თბ.	8	7	1	0	97—44	23
„სლავა"	8	7	0	1	106—50	22
სსა	8	6	0	2	194—77	20
„ფილი"	8	4	2	2	78—70	18
„ავიატორი"	8	4	1	3	91—75	17
„ლოკ." მ.	8	3	0	5	96—74	14
„პოლ." კ.	8	3	0	5	81—117	14
„ელვა"	8	2	0	6	69—120	12
„სახლმშ."	7	1	0	6	63—142	9
„პოლ." კრ.	7	0	0	7	46—152	7

„როლან გაროს" ლაურეატები

პარიზი. აქ დიდი ინტერესით მოელოდნენ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალში მსოფლიოს ორი უძლიერესი ჩოგბურთელის, შვედი ბ. ბორგისა და ამერიკელი ჯ. კონორსის შეხვედრას. მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ეს წყვილი არ თამაშობდა. ამისი მიზეზი იყო ამ შეჯიბრებების სენსაცია — ვიქტორ პეჩი.

23 წლის ვ. პეჩი პარაგვაელია, რომელიც ამჟამად არგენტინაში ცხოვრობს. აქამდე იგი ჩვეულებრივ სტატისტის როლში იმყოფებოდა საერთაშორისო საჩოგბურთო სარბიელზე, ახლა კი საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მეოთხედფინალში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის, არგენტინელი გ. ვილასის დამარცხების შემდეგ. ნახევარფინალში ვ. პეჩიმ ნამდვილი ფურორი მოახდინა, როცა დაამარცხა ჯ. კონორსი — 7:5, 6:4, 5:7, 6:3.

პარიზის საჩოგბურთო სტადიონ „როლან გაროს" რბილგრუნტიან კორტზე ამ გოლიათის ყუმბარისებური მოწოდება (ვ. პეჩის სიმაღლეა 193 სმ) და ბადესთან ჩინებული თამაში გადაუჭრელ პრობლემად იქცა კონორსისთვის.

ბ. ბორგმა ნახევარფინალში იოლად სძლია ამერიკელ ვ. გერულაიტისს.

ფინალურ მატჩს ესწრებოდა 18 ათასი მაყურებელი. ბორგმა კვლავ ცხადყო, რომ ტოლი არ ჰყავს მსოფლიოში. მან მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 6:3, 6:1, 6:7, 6:4 და ბოლო 5 წლის მანძილზე მეოთხედ მოიგო პირველი პრიზი ამ შეჯიბრებაში, რომელიც არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად ითვლება გრუნტიან მოედნებზე.

ქალთა ტურნირის დასკვნითმა ნაწილმა უფრო მშვიდად ჩაიარა. კ. ევერტმა (აშშ) ნახევარფინალში დაამარცხა დ. ფრომჰოლცი (ავსტრალია) — 6:1, 6:3, ხოლო უ. ტურნბალმა (ავსტრალია) — რ. მარშიკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 6:4, 6:3.

ფინალში კ. ევერტი აშკარად სჯობდა უ. ტურნბალს — 6:2, 6:0. ეს ევერტის მესამე წარმატებაა „როლან გაროში".

ახლა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები შეიკრიბებიან ინგლისში, სადაც 25 ივნისს იწყება უიმბლდონის ტურნირი.

„რვაათასიანზე" ჟანგბადის ბალონის გარეშე

როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, ორმა ინგლისელმა ალპინისტმა, რომლებიც კარგად არიან ცნობილი ევერესტზე ასვლით, ამჯერად წარმატებით დაიპყრო მსოფლიოს მესამე მწვერვალი, თანაც უშერპოდ და ჟანგბადის ბალონების გარეშე.

38 წლის ნოტინგემელი მასწავლებელი დ. სკოტი და 29 წლის ოფიცერი პ. ბოდმენი ავიდნენ აღმოსავლეთის ჰიმალაებში მდებარე მწვერვალ კანჩენჯანგაზე (8585 მ).

ნეპალის ტურიზმის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ასეთი ასვლა კანჩენჯანგაზე პირველი შემთხვევაა. ამ მწვერვალის დაპყრობის ყველა სხვა ცდის დროს გათვალისწინებული იყო დიდი რაოდენობით ბანაკები, სადაც აღჭურვილობა და საკვები პროდუქტები მიჰქონდათ შერპებს. ალპინისტები კი ძალ-ღონეს იზოგავდნენ რთული მწვერვალის გადამწყვეტი შტურმისთვის.

1975 წელს სკოტი და ბოდმენი ევერესტზე (8848 მ) მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე მანამდე გაუკვალავი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან „სარეკორდოდ მოკლე დროში" (35 დღე) ავიდნენ.

ჩაფხუტი ჩოგბურთის მსაჯებს

დამცველი ჩაფხუტები, რომლებსაც აქამდე მხოლოდ მოტომრბოლელები, ჰოკეისტები და კრიკეტისტები იყენებდნენ, მალე გამოჩნდება ბრიტანეთის საჩოგბურთო კორტებზე. ოღონდაც მას დაიხურავენ არა მოთამაშეები, არამედ მსაჯები ხაზზე.

ბრიტანეთის პროფესიული ჩოგბურთის მსაჯთა ფედერაციის მდივანმა როი კოუპ-ლოისმა თქვა: „ჩემის აზრით, დამცველი ჩაფხუტები აუცილებელია ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში. რატომ უნდა ჩავიგდოთ თავი საფრთხეში? ბურთი ხომ კოლოსალური სისწრაფით მიფრინავს. შარშან, ნოემბერში უკვე იყო შემთხვევა, როცა ბადესთან მსაჯს სახეში მოხვდა ბურთი". თვით კოუპ-ლოისმა უკვე ისარგებლა ასეთი ჩაფხუტით. (საკდესი).

ნაირები

„რეკორდი" „რეკორდითვე" მოიხსნა

ბელგიელმა ბუსენმა გააკეთა გიგანტური ველოსიპედი, რომელიც 20,7 მეტრი სიგრძისა იყო და დაახლოებით 1000 კგ-ს იწონიდა. ამ ველოსიპედს 35 დასაჯდომი ადგილი ჰქონდა. ეტყობა, მისი შემქმნელი იმედოვნებდა, რომ მოხვდებოდა „რეკორდების წიგნში", რომელსაც ლონდონში ძმები გინესები გამოსცემენ. ბუსენმა ჩააბარა კიდეც თავისი ქმნილება მუზეუმში, მაგრამ ამასობაში მისმა თანამემამულემ სტუბენსმა იმავე მუზეუმს შესთავაზა ველოსიპედი, რომელიც... 20,77 მეტრი სიგრძისა იყო.

მხოლოდ 220 უცხოელი

აშშ-ის შრომის დეპარტამენტმა გადაწყვიტა იმ უცხოელი ფეხბურთელების რიცხვის შეზღუდვა, რომლებიც ამერიკის ლიგაში გამოდიან. წლეულს ლიგის 24 გუნდში დადგენილ იქნა უცხოელი ფეხბურთელების ლიმიტი — 220 მოთამაშე.

ყოველი მესამე — მარიო

როგორც არგენტინაში გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ამ ქვეყანაში დაბადებულ ყოველ მესამე ბიჭს მარიოს არქმევენ.

ასე შეაფასეს არგენტინელებმა მარიო კემპესის დამსახურება მსოფლიოს პირველობაზე და მისი საფეხბურთო ტალანტი.

დაისაჯა... კოცნისთვის

ბერძნული გუნდების „ემორდაიკოსა" და „არტაკუსის" შეხვედრისას მსაჯმა მინდვრიდან გააძევა მასპინძლების თავდამსხმელი კალაიზოპოპულოსი. მისი დანაშაული ის იყო, რომ, გაიტანა თუ არა გოლი, მეტისმეტი სიხარულისაგან მაგრად ჩაკოცნა პირველივე შემხვედრი. იგი აღმოჩნდა... ამ მატჩის მსაჯი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ

ი. ყეინაშვილის ნახატი.

ნორჩ სპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!

სპორტული პროფილის რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატი აცხადებს მიღებას VI-X კლასებში სპორტული ტანვარჯიშის, ცურვის, ფარიკაობის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ძიუდოს, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობების განყოფილებებზე.

სასწავლებელში ჩაირიცხებიან მოსწავლეები, რომლებსაც სპორტულ სკოლებსა და სპორტსაზოგადოებების სექციებში მიღებული აქვთ წინასწარი მომზადება.

სკოლა-ინტერნატში სწავლება მიმდინარეობს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით, ამასთანავე მოსწავლეები იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას.

კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია სამედიცინო ბარათი (ფორმა № 26) და სპორტსმენთანრიგოსნის საკლასიფიკაციო წიგნაკი.

განცხადებები მიიღება 16 ივნისამდე.

სპორტულ მომზადებაში მოსწავლეთა საკონკურსო გასინჯვა ჩატარდება 23-26 ივნისს სკოლა-ინტერნატის სპორტულ ბაზებზე.

სკოლა-ინტერნატში ჩარიცხული მოსწავლეებისთვის 1 ივლისიდან 21 აგვისტომდე ქ. ბათუმში მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი. სკოლის მისამართი: თბილისი 383030. თიანეთის გზატკეცილი. ტელეფონები: 62-41-34, 62-53-95, 62-22-91.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 02209